დღეს მუშაობას იწყებს საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობა

მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 42-ე წელი. № 22 (12230) | პარასკევი, 26 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

პარტიის მებრძოლი თანაშემწე

უოველი ყრილობა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია კომკავშირის ცხოვრებაში. რესპუბლიკის კომკავშირელთა ამ ფორუმზე საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული დელეგატები განიხილავენ და გადაწყვეტენ ყველა საკითხს, რომლებიც აფიქრებს და აღელვებს ჩვენს ახალგაზრდობას.

საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობა იკრიბება ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი, რომელიც აბორიგენელებს სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და პარტიის ახალ, მესამე პროგრამას, შეუდგა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას. სკკპ XXII ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში დიდი როლი ეკუთვნის კომკავშირს — საბჭოთა ახალგაზრდობის მებრძოლ ორგანიზაციას. ახალგაზრდობა უფროსი ამხანაგების ცვლა, ჩვენი ქვეყნის მომავალია, აქტიური შემოქმედებითი ძალაა, რომელსაც შეუძლია მთები შეძრას კომუნიზმის იდეალებისათვის ბრძოლაში.

დიდებით შემოსა თავისი სახელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ერთ-ერთმა უძველესმა და მოწინავე რაზმმა — საქართველოს კომკავშირმა, რომელიც თავის მორიგ ყრილობაზე მოვიდა ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

საქართველოს კომკავშირის XXIII ყრილობიდან გასული ორი წელი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობისათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, იყო დაძაბული შემოქმედებითი შრომისა და სწავლის წლები. სად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის რომელ უბანზე არ ნახავთ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს — მარტენის ღუმელთან თუ ავტომკარხნის კონვეიერთან, ხავერდოვან ჩაის პლანტაციებში თუ თვალუწვდენ ბაღ-ვენახებში... კომკავშირელები და ახალგაზრდები ამრავლებენ საბჭოთა სამშობლოს მიღწევებს, ეხმარებიან ჩვენს ხალხს ბედნიერი აწმყოსა და უფრო გაცისკროვნებული მომავლის დამკვიდრებაში.

კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს კარგი ტრადიცია აქვთ — თავიანთ ყრილობას შეხვდნენ მიღწევებით შრომაში, აღმზრდელობითსა და ორგანიზატორულ მუშაობაში. და აი ახლაც რესპუბლიკის დედაქალაქში ყოველი კუთხიდან მოდის სახიხარულო ცნობები კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა სახელოვან საქმეებზე.

საწარმოო პროგრამის ვადამდე შესრულებაში ახალგაზრდობის მონაწილეობა კომუნისტური აღზრდისა და ცხოვრების დიდი სკოლაა. და რესპუბლიკის ათეულ ათასობით ახალგაზრდა უშუალოდ წარმოებაში გადის ამ სკოლას. მრავალმა მათგანმა გაახწრო დროს და მომავალი თვის, წლის ანგარიშში მუშაობს.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ საწარმოო პროცესების ავტომატიზაციასა და მექანიზაციაში, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვაში. 1960-61 წლებში მარტო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოებში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა 398 ღონისძიება ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში. ამუშავდა 89 ნაკადური და ავტომატური ხაზი. მოდერნიზებულ იქნა 389 დაზგა და დანადგარი, შეიქმნა ახალი მანქანებისა და აპარატების მრავალი ნიმუში.

მუდამ ახლის მაძიებელი და დაუდეგარია ჩვენი ახალგაზრდობა. იგი შეფობას უწევს შვიდწლედის დიდ მშენებლობებსა და დიდი ქიმიის ობიექტებს, გულის კარნახით მიდის ყაზახეთის ყამირზე და ციმბირის ტრამალებში.

რესპუბლიკის კომკავშირი წარმატებით იბრძვის სახელმწიფო სახსრების ეკონომიისათვის, შვიდწლედის „კომკავშირული ყულაბის“ გამდიდრებისათვის.

სიმაყის გრძნობით მოვიდნენ დღეს ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის წარმომგზავნელნი. აქვთ კიდეც ამის საფუძველი, რადგან იმ დიდ აღმავლობაში, რაც უკანასკნელ წლებში განიცადა საქართველოს მრავალფეროვანმა სოფლის მეურნეობამ, ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებსაც მიუძღვით ღირსეული წვლილი. საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამჟამად 150 ათასზე მეტი ახალგაზრდა მოღვაწეობს.

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა მეჩაიეობის რაიონების ახალგაზრდობამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ამ პერიოდში მან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 205 ათასი ტონა ჩაი. წარმატება მოიპოვეს მესამინდეებმა, რომლებმაც შეასრულეს მიცემული პირობა და გაიმარჯვეს თავიანთ აზერბაიჯანელ და სომეხ თანამოსაქმეებთან გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან ყრილობას რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცხოველეები, მევენახეები, მებაღეები, მეციტრუსეები...

სკოლა კომკავშირის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი უბანია. ეს კარგად ესმით სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გამოაცოცხლეს თავიანთი მოღვაწეობა. სკოლის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, რამაც დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ჩვენი სკოლისა და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის XXI და XXII ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებებით, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად აამაღლეს კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის დონე. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან კომუნიზმის აქტიური მშენებლის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომკავშირისაგან მოითხოვს მასებში, ცხოვრებასთან ახლოს ყოფნას, ახალგაზრდობის შეიარაღებას ცოდნის იმ მარაგით, რაც კი კაცობრიობას შეუძენია.

კომკავშირის ძალისა და ძლიერების წყაროა მისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. საქართველოს კომკავშირის ყველა წარმატება იმის შედეგია, რომ იგი მუდამ გრძნობს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ დაბმარებას, ყურადღებას, რჩევასა და დარიგებას.

რესპუბლიკის კომკავშირის მიერ საანგარიშო პერიოდში მოპოვებული წარმატებები არ ნიშნავს იმას, რომ მის მუშაობაში არ იყოს სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ბევრგან სათანადოდ ვერ იბრძვიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, სუსტად ნერგავენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, დაბალია კომკავშირელთა ავანგარდული როლი და კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. არის ნაკლოვანებანი იდეოლოგიურ მუშაობაში.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატები მაღალი ტრიბუნიდან მთელი პირდაპირობით ილაპარაკებენ იმ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ საკითხებზე, რომლებიც ხელს უშლიან მათს წინსვლას, ანლის ულორტების ზრდას.

პარტიის XXII ყრილობამ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს. სკკპ ახალი პროგრამა თვითეულ კომკავშირელსა და ახალგაზრდას უჩვენებს თავის ადგილს კომუნიზმის მშენებელთა რიგებში. საქართველოს კომკავშირი კვლავაც მზად არის ახალი დიდი საქმეებისათვის საბრძოლველად. იგი იყო, არის და იქნება პარტიის ერთგული, მებრძოლი თანაშემწე ყველა მის საქმეში საბჭოთა ხალხის სადიდებლად. მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მხურვალე, კომუნისტური სალამი საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატებს!

მუშაობა დაამთავრა

საქართველოს მხატვართა V ყრილობამ

სამ დღეს მუშაობდა საქართველოს მხატვართა მეხუთე ყრილობა. ფერმწერებმა, მოქანდაკეებმა, გრაფიკოსებმა, პლაკატისტებმა, თეატრალურ-დეკორაციული და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და კრიტიკოსებმა დიდი შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში განიხილეს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები პარტიის XXII ყრილობის მიერ წამოყენებული მოთხოვნების შუქზე.

25 იანვარს გაიმართა ყრილობის საბოლოო სხდომა. ფარული კენჭისყრით აირჩიეს საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი, აგრეთვე საბჭოთა მხატვრების II სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატები სახავენ ახალ შემოქმედებითს მიჯნებს, აღუთქვამენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ კიდევ უფრო აამაღლებენ თავიანთი შემოქმედების იდეურ და მხატვრულ დონეს, აქტიურად შეუწყობენ ხელს ახალი კულტურის — კომუნიზმის ეპოქის კულტურის შექმნას.

გაიმართა რესპუბლიკის მხატვართა V ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია რესპუბლიკის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, თავმჯდომარედ — მხატვარი ზ. ლეუავა, თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან უ. მეძმარიაშვილი და მ. ბერძენიშვილი. (საქდესი).

სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტი

ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების სოლიქო საბჭოს მორიგმა სესიამ მოისმინა და განიხილა საკითხები: სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმა და ოლქის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სოლიქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ი. კუდუხოვმა, ხოლო მეორე საკითხზე — სოლიქო საფინანსო განყოფილების გამგემ ი. ლოხოვმა.

სესიამ ოლქის სახელმწიფო ბიუჯეტი 1962 წლისათვის შემოსავლის და გასავლის ნაწილში დაამტკიცა 9.118 ათასი მანეთის ოდენობით, რაც ბევრად აღემატება 1961 წლის ბიუჯეტს. მიმდინარე წლის ბიუჯეტში დიდი თანხებია გათვალისწინებული სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებზე.

სესიამ დაამტკიცა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმა.

გეგმა—198 პროცენტით

საჩხერე. (საკ. კორ.). გასული სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა საჩხერის ღვინის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ნაცვლად 2.612 ათასი მანეთისა გამოუშვა 2.959 ათასი მანეთის პროდუქცია. საკმარისია ითქვას, რომ ქარხნის კოლექტივმა 198 პროცენტით შეასრულა შამპანური ღვინო-მასალის დამზადების დავალება.

ქარხნის კოლექტივის ამ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით შ. იაკობიძეს, დ. ცუხიშვილს, ა. გულიაშვილს, დ. აბაშიძეს და სხვ.

უკეთესი პერსპექტივები ესახება ქარხნის კოლექტივს მიმდინარე წელს. გთვალისწინებულია ამ ენდეს ახალი საწნეხე განყოფილება და საცხოვრებელი სახლი მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ტემპმა იმატა

ქუთაისი. (საკ. კორ.). წარმატებით დაიწყო ახალი სამეურნეო წელი ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა. იანვრის პირველ ნახევარში მკერავებმა დაავალეს 112 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 60.000 მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს № 5 და № 6 კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ო. ობოლაძე და ე. ბერძიე ხელმძღვანელობენ. პირველმა ნახევარი თვის დავალება 126 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ — 124 პროცენტით.

მკერავთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 18 მარტისათვის შესრულონ 1962 წლის პირველი კვარტალის დავალება.

მგზავრები არჩევნებისათვის

ზუგდიდი. (საკ. კორ.). პარტიის XXII ყრილობის წინ ზუგდიდის მახლობლად დაიწყო ამერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ენგურზე. აქ ათასობით ახალგაზრდა ჩამოვიდა სამუშაოდ, რამაც გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ახალ 14-ე საარჩევნო ოლქის — ზუგდიდის საარჩევნო ოლქის შექმნა.

პარტიის ზუგდიდის რაიონულმა კომიტეტმა შეიმუშავა არჩევნებისათვის მზადების გეგმა. დამატებით შეიქმნა 17 აგიტპუნქტი, სადაც 500 აგიტატორი მუშაობს. ამჟამად რაიონში 2 ათასზე მეტი აგიტატორი და მკითხველ-მესაუბრე ატარებს საუბრებს მოსახლეობაში. აგიტპუნქტებში, პოლიტიკური განათლების კაბინეტებში, რაიონულ და სასოფლო ბიბლიოთეკებში მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

ფაიზული. (საკ. კორ.). რაიონის მოსახლეობაში ფართოდ ჩაღდება პოლიტმასობრივი მუშაობა. ამ დღეებში ორპირის სასოფლო საბჭოში გაიმართა აგიტატორების, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტპუნქტების ხელმძღვანელებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების ზონალური საინსტრუქტორო თათბირი-სემინარი თემაზე: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები და აგიტატორების ამოცანები“.

რაიონში შეიქმნა 34 აგიტპუნქტი, შემოღებულია აგიტატორთა მორიგეობა. პარტიის ტყიბულის რაკომმა საწარმო-დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში უკვე გაგზავნა 12 ლექტორი და მომხსენებელი.

პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა. ასეთივე გამოფენები ეწყობა ლენინის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტების ბიბლიოთეკებში.

ზუგდიდი, ჩვენი რესპუბლიკის რაიონებიდან თბილისში ჩამოვიდნენ საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატები.

დღეს ისინი ადგილებს დაიკავებენ ყრილობის სხდომათა დარბაზში და შეუდგებიან რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის საარსებო ამოცანების განხილვას.

სურათზე: საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. რევიშვილი (აფხაზეთი), ს. ოსეფაშვილი (ჩოხატაური), ვ. სკვორცოვა (გორი), გ. მარღანია (აბაშა), გ. სადილიანი (ქუთაისი), თ. ჭილაძე (თბილისი), ე. პაპბა (აფხაზეთი), ზ. გოგუა (ჩხოროწყუ), მ. მაჭავარიანი (ზესტაფონი), ფ. გაზაევი (ქ. ფოთი), გ. ლომაურიძე (ქიათურა), კ. მუშლაძე (ახალციხე), ჯ. ჭელიძე (გორი), მ. ჯინჭარაძე (აჭარა).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სოლიდარობა გმირ კუბასთან

მოსკოვი, 24 იანვარი. (საკდესი). ამ დღეებში, როცა ლათინური ამერიკისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა მტკიცედ გამოდის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების ახალი ანტიკუბური ხრიკების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეები ძმურ სალამს უთვლიან კუბის მშვიდობისმოყვარე ხალხს და სავსებით უჭერენ მხარს აგრესიისა და დამონების ძალების წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა მისალმება გაუგზავნა ლათინური ამერიკის ხალხების კონფერენციის მონაწილეებს, რომლებიც ჰავანაში შეიკრიბნენ, რათა დაგმონ თავისუფალი კუბის წინააღმდეგ შეთქმულება, რასაც ამზადებენ პუერტა-დელ-

შენთვის, ჩვენო პარტია!

კომკავშირული მარჯვენით

სასიხარულო დღეებს განაცდის ჩვენი საყვარელი სამშობლო. სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებებით აღფრთოვანებული სიბჭოთა ადამიანები ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. თავიანთი მშობლების, უფროსი ძმებისა და დების მხარდამხარ იბრძვიან ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელთა მოგალითისამებრ ფართო ფრონტით გააჩაღეს ლაშქრობა სახალხო მეურნეობაში დანაკარგების წინააღმდეგ. საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კომკავშირის ქალაქკომ და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილია დანაკარგებთან მებრძოლი შტაბები და საზოგადოებრივი კონტროლის სხვადასხვა ფორმები.

დადებითი შედეგი გამოიღო საწარმოს მარკის ღირსებისათვის, გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლამ, რასაც ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ეწევა.

კარგ ტრადიციად იქცა საქართველოს კომკავშირის შეფობა, რასაც ისინი რესპუბლიკის დიდ და დამკვრელ მშენებლობებს უწევენ. 50-მდე ობიექტი ატარებს დამკვრელ-კომკავშირული მშენებლობის სახელს. კომკავშირი აგრძელებს შეფობას ჭიათურის მარგანეცის ახალი ფაბრიკების, რუსთავის „დიდი ქიმიის“ ობიექტების, ენგურჰესისა და სხვა დამკვრელ მშენებლობებზე.

დღითიდღე ფართოვდება და ძალებს იკრებს კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელთა მოძრაობა, ყოველდღიურად მრავლდება მოწინავეთა რიგები, რომლებიც მანათობელი შუქურები არიან ახალგაზრდობის ფართო მასებისათვის.

ბევრი სასახელო საქმის ავტორები არიან სოფლის კომკავშირელები და ახალგაზრდები. საანგარიშო პერიოდში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ წავიდა 25 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი, რომელთა უმრავლესობას ჰაუსალო და სპეციალური განათლება აქვს.

მეჩაიე, მევენახე, მეციტრუსე, მეხალე, მესიმინდე, მეცხოველე... როგორი პატივისცემით წარმოთქვამენ ჩვენში ამ სიტყვებს! და რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებსაც კარგად ესმით, რომ სწორედ ესენი წყვეტენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის ბედს.

კომკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ეკონომიისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ლატვიის კომკავშირელთა მოგალითისამებრ ფართო ფრონტით გააჩაღეს ლაშქრობა სახალხო მეურნეობაში დანაკარგების წინააღმდეგ. საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კომკავშირის ქალაქკომ და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილია დანაკარგებთან მებრძოლი შტაბები და საზოგადოებრივი კონტროლის სხვადასხვა ფორმები.

ამ მაღაროს № 24 გვირაბის კოლექტივმა, პირველმა ჭიათურაში, მოიპოვა კომუნისტური შრომის სახელწოდება. გვირაბის კომკავშირელებმა პირველებმა წამოაყენეს ლოზუნგი — „ყოველი კომკავშირელი — კომუნისტური შრომის დამკვრელი, ყოველი ახალგაზრდა — კომკავშირელი!“ თაოსნობამ ხორცი შეისხა. ახლა ამ გვირაბში კომკავშირის ასაკის ყველა ახალგაზრდა მართლაც კომკავშირელია, ხოლო ყოველი კომკავშირელი — კომუნისტური შრომის დამკვრელი. წარჩინებული კომკავშირელები კ. დავლიშვილი, თ. ჯაფარიძე, გ. ჯაჯანიძე, ტ. ზუმბაძე და სხვები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს, იანვრის გეგმის შესრულებით ხვდებიან კომკავშირის ყრილობას.

საუბარი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან

ო. ჩერქეზიასთან

სოფლის ახალგაზრდობა მრავალი სასარგებლო საქმის ინიციატორი და წამომწყებია. რესპუბლიკის მეჩაიეობაში უართო მხარდაჭერა ჰპოვა ნ. გოგაბაძისა და მ. ქარდავას პატროიტულმა თაოსნობამ. გამოჩნდა ასობით და ათასობით ახალგაზრდა ენთუზიასტი, ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები, რომლებმაც ჩაის ფოთლის კრეფის სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ბევრმა ახალგაზრდამ შარშან ჰექტარზე 8-10 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. ჩაის კრეფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატმა ი. წოწონავამ, რომელმაც შარშან მოსავლელად მიჩენილ 0,6 ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მოკრიფა 19.400 კილოგრამი ნედლეული.

ორიოდე წლის წინათ რესპუბლიკის მეჩაიე ახალგაზრდებმა გამოაცხადეს ლაშქრობა შეხავსებულ კოშტებში გამოყენებული ნერგებით ჩაის სიმეჩხრის მოსახსპობად. ამან კარგი შედეგი გამოიღო. დამზადდა რამდენიმე მილიონი შეხავსებული კოშტი. მოსახალმეზელეობა მესტიისა და სამგორის რაიონების კომკავშირული ორგანიზაციების შესანიშნავი თაოსნობა, რომლებმაც გადაწყვიტეს 1963 წლამდე მეცხოველეობის უველა ფერმა დააკომპლექტონ მხოლოდ საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდებით.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანებიდან ერთ-ერთი ყველაზე მთავარია ახალი, ყოველმხრივ განვითარებული, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა. იდეოლოგიური მუშაობის მთელი არსენალი ახლა მიმართულია სკკპ XXII ყრილობის მასალების პროპაგანდისა და შესწავლისაკენ. წრეებსა, პოლიტსკოლებსა და სემინარებში გაერთიანებულია 91.115 კომკავშირელი და ახალგაზრდა. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სწავლობს 28.274, ხოლო დაუსწრებელ სკოლებში, ტექნიკუმებსა, უმაღლეს სასწავლებლებში და სალამოს უმაღლეს სასწავლებლებში — 35.786 კაცი.

მრავალი ახალგაზრდა იმაღლებს თეორიულ დონეს დამოუკიდებლად, ეუფლება ცოდნას სემინარებში და საკონსულტაციო ჯგუფებში, პარტიული განათლების სისტემაში, ბევრი კი სწავლობს კულტურისა და ტექნიკის სახალხო უნივერსიტეტებში.

ვლაპარაკობთ რა საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე, ერთი წუთითაც არ ვარდებთ თვალს იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. საჭიროა გადაჭრით გავუმჯობესოთ ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, რადგან არც თუ იშვიათად მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი ქაღალდზე რჩება, ფორმალურ ხასიათს ატარებს. ბევრგან ბედის ანაბარად არიან მიტოვებული კომკავშირის საშეფო ორგანიზაციები, სუსტად არის დაყენებული მუშაობა ახალგაზრდა რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან, უყურადღერი არ კეთდება მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვად, არის ცალეული ახალგაზრდების მიერ ამორალური ქცევისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობა დასახავს ახალ, დიდ ამოცანებს, რომელთა განხორციელება უფრო თვალსაჩინოს გახდის რესპუბლიკის ახალგაზრდობის წვლილს კომუნიზმის მშენებლობაში.

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის კომკავშირელები მამაცური შრომითი საქმეებით ხვდებიან საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობას. სტალინის სახელობის მაღაროს კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა ყრილობის აღსანიშნავად ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს იანვრის პირველი დღეებიდანვე ყოველდღიურად გეგმის გადამტებით დაემზადებინათ 100 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

მათ სიტყვა საქმედ აქციეს. იანვრის ოცი დღის შედეგები საუცხოოა. კომკავშირელები სიტყვას არ ტეხენ, პირნათლად ასრულებენ ვალდებულებას, მეტალურგიას აძლევენ ზეგეგმითს მარგანეცს.

ამ მაღაროს № 24 გვირაბის კოლექტივმა, პირველმა ჭიათურაში, მოიპოვა კომუნისტური შრომის სახელწოდება. გვირაბის კომკავშირელებმა პირველებმა წამოაყენეს ლოზუნგი — „ყოველი კომკავშირელი — კომუნისტური შრომის დამკვრელი, ყოველი ახალგაზრდა — კომკავშირელი!“ თაოსნობამ ხორცი შეისხა. ახლა ამ გვირაბში კომკავშირის ასაკის ყველა ახალგაზრდა მართლაც კომკავშირელია, ხოლო ყოველი კომკავშირელი — კომუნისტური შრომის დამკვრელი. წარჩინებული კომკავშირელები კ. დავლიშვილი, თ. ჯაფარიძე, გ. ჯაჯანიძე, ტ. ზუმბაძე და სხვები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს, იანვრის გეგმის შესრულებით ხვდებიან კომკავშირის ყრილობას.

ᲘᲓᲔᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲣᲙᲐᲪᲐ

ენაკიევოელი მეგობრის, ცნობილი მეფოლადის დ. სიდორიუკის წერილი ს. საყვარელიძეს საამქროში, სამუშაოზე გასვლის წინ ჩაბარეს. მაშინვე გახსნა, პირმოღიმარემ სასწრაფოდ გადაკითხა. ის, რასაც უკრაინელი მეფოლადე ხაზს უსვამდა, ჭკუაში დაუჯდა.

სიდორიუკი უკრაინაში, მე კი აქ, საქართველოში ჩავუდგები ამ საქმეს სათავეში...

ხელისშემწყობები დ. ბარათაშვილი და გ. ფანჩიკიძე იხმო:

— ბიჭებო, ახლა, როცა ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ, სამუშაო დროის ეკონომიურად გამოყენებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

შეიძლება, ნამდვილად შეიძლება. მოდით გავაჩაღოთ ბრძოლა დროის ეკონომიურად გამოყენებისათვის და ვიბრძოლოთ არა მარტო ქვედის რემონტზე, არამედ ყველა ოპერაციის მიხედვით დროის ეკონომიისათვის.

ასე დაიბადა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კიდევ ერთი წამოწყება.

ეს იყო რვა წლის წინ. სერგო საყვარელიძე მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო. წარმოებაში მუშაობის გამოცდილება აბა საიდან ექნებოდა. ტანსაცმელს ჯერ კიდევ სასკოლო მერხის სუნი ასდიოდა.

— მიმიღეთ თქვენთან რაიმე უბრალო სამუშაოზე, თუნდაც ზეინკლობას შევისწავლი, — მიმართა მან საამქროს უფროსს.

— ზეინკლობა ცუდი საქმე როდია, მაგრამ ამჯერად ჩვენ უფრო მეტად მეფოლადეები გვჭირდებიან, გირჩევთ შეისწავლოთ ეს სპეციალობა, — უპასუხეს სერგოს საამქროში.

და აი ახალგაზრდა უკვე ღუმელთან დგას. პირველად აბა ვის მოუწონება მეფოლადის საქმიანობა, ცეცხლი, ვეებერთელა ტემპერატურა, იწვება კაცი, მაგრამ შეუჩვეველი არაფერია. აბა ერთი ახლა უთხარით მას თავი დაანებე ღუმელთან მუშაობასო. პირზე აღარ შემოგბეღავს, სამუდამოდ დაგემდურება.

გადოდა წლები. იზრდებოდა რუსთავი. იზრდებოდა სასყვარელიძეც. მან მალე გამოიჩინა თავი. კანონიერად დაიმკვიდრა ადგილი ცნობილ მეფოლადეებთან ა. ფანაცულიასთან, გ. ბერეკაშვილთან, გ. სიგუასთან, ვ. გიგიბერიასა და სხვებთან ერთად. ამიტომაც აირჩიეს იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად, „ამქამად კი ყრილობის დელეგატად.

25 იანვარი. კომკავშირის ყრილობის გახსნის წინადღე.

სამართავ პულტთან დგას ს. საყვარელიძე. აი გაიკეთა სათვალე და ერთხელ კიდევ შეიხედა საკაზმეში. თუმცა ანალიზები ჯერ არ მოუტანიათ, მაგრამ მაინც შეიძლება გაშვება, — ფიქრობს იგი. და ეს არის განკარგულება უნდა გასცეს, რომ ტელეფონით დარეკეს, ლითონის შემდგენლობა სავსებით შეესაბამება დაწესებულ ნორმებსო.

— გაუშვათ!

იხსნება გასაშვები ხვრელების კარები. ალვართქაფებული ფოლადის ლავა ნიაღვარივით წამოვიდა ვეება ცეცხვებისაკენ და როცა უკანასკნელი ნაკადი შეწყდა, სერგომ საათს დახედა.

— 25 წუთი ეკონომია! დასაწყისისათვის კარგია, — მიმართა მან ხელისშემწყობებს და მათთან ერთად გამოვიდა საამქროს ეზოში.

ზ. მერკვილაძე.

ᲘᲓᲔᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ

შარშან თბილისის ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოებისა და ქუთაისის ავტოქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციებთან ჩამოყალიბდა პოლიტიკური წრეები — „დიადი ეტაპები“, რომლებიც ძირითად ყურადღებას უთმობენ იმ დიად პოლიტიკურ გარდაქმნებს, რასაც ადგილი აქვს ქვეყნის ცხოვრებაში. პოლიტწრეების მეცადინეობებზე ახალგაზრდები საფუძვლიანად სწავლობენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას.

თბილისელ და ქუთაისელ კომკავშირელთა წამოწყება რესპუბლიკის ბევრ რაიონში დაინერგა და ახლა იგი ახალგაზრდობასთან პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს.

კომკავშირის თბილისის კალინინის რაიკომის ინიციატივით სოფლად კულტურული მუშაობის გაძლიერებისათვის რაიონის ახალგაზრდობამ შეფობა იკისრა მესტიის რაიონზე. თბილისელებმა უკვე ინახულეს მესტიის რაიონის ბევრი სოფელი, მესტიელებს ჩაუტანეს და უსასყიდლოდ გადასცეს წიგნები, მედიკამენტები... გაიხსნება მუსიკალური სასწავლებელი, გატარდება სხვა მრავალი კულტურული ღონისძიება. რესპუბლიკის ამ ორ რაიონს შორის მუდმივი კულტურული ურთიერთობა დამყარდა.

კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და ფოლაც-თუჯსამსხმელო ქარხნების ახალგაზრდებმა წარმოების რიტმული მუშაობისათვის შექმნეს კომკავშირული საკონტროლო საგუშაგოები, შტაბები, სარეიდო-საკონტროლო ბრიგადები, რომლებიც ნაყოფიერად მოღვაწეობენ.

ამ წამოწყებას გამოეხმაურნენ პლასტმასის ქარხნის, ქარხანა ელექტროავტომატის და სხვა საწარმოთა ახალგაზრდები.

კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციასთან დიდი ხანია, რაც საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭო, რომელიც იბრძვის საწარმოო მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ბორის რაიონის სასკოლო კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით იკისრეს ვალდებულება შეფობა გაუწიონ რაიონის მეცხოველეობის ფერმებს, დაეხმარონ ფერმების მუშაკებს პირუტყვის მოვლა-პატრონობასა და გამოზამთრებაში, ფერმებში დაიცვან სისუფთავე, სანიმუშოდ მოაწყონ წითელი კუთხეები.

გორელ ახალგაზრდა ინიციატორებს ფართოდ დაუჭირეს მხარი სხვა რაიონების სასკოლო კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა.

სამგორის, ტყიბულის, მესტიის რაიონების ახალგაზრდებმა გადწყვიტეს 1963 წლის ბოლომდე საკოლმეურნეო ფერმები მთლიანად ახალგაზრდა მუშაკებით, სპეციალისტებით დაკომპლექტონ.

გასულ წელს რესპუბლიკის საწარმოებში დაინერგა კომკავშირელ ნოვატორთა 3.800 ახალი რაციონალიზატორული წინადადება, რამაც 2,8 მილიონი მანეთი მოგება მისცა სამშობლოს.

ᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲡ

ᲕᲐᲒᲝᲜᲘᲡ ფანჯარასთან ქეთაულავაშვილი ახალგაზრდა იდგა.

ფანჯრის წინ ელვის სისწრაფით მიჰქროდნენ სახლები, ელექტრობის ბოძები, ხეები...

ერთმა სახურავმა დროზა ჩააქროლა; ბოძები მიაქროლებენ ელექტროდენს;

ხეები — სიცოცხლეს.

ესტაფეტა გაუმართავთ.

ცხოვრებაც ესტაფეტაა. ერთნი აიტაცებენ და გააქროლებენ... შემდეგ ხელიდან ხელში, თაობიდან თაობაზე გადადის...

ლერი ჯიბლაძესაც უნდა მთელი ენერგიით მონაწილეობდეს ამ შეჯიბრებაში.

ჰაბუკი იქვე, მეორე ფანჯარასთან თავმოყრილი ახალგაზრდების ხმამაღალმა საუბარმა გამოარკვია ფიქრებიდან. ისინი აქებდნენ ელმავალს...

— მერე იმას აღარ იტყვით, ჩვენი ქართული ელმავალი ყველგან რომ დაჭრის, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში! — ამაყად განაცხადა ერთმა მათგანმა.

— მართლაც და რა იქნება, რომ ელმავალსამშენებლო ქარხანაში დავიწყო მუშაობა? — გაიკვლო გუნებაში ლერიმ და კვლავ ფიქრებს მიეცა. როგორ გადმოვიდა სადგურზე, აღარ ახსოვს. ღამეც არ მოასვენა ფიქრებმა.

მეორე დღესვე ლერი ელმავალსამშენებლო ქარხნის კომკავშირის კომიტეტში იყო.

— აბა, თქვენ იცით, როგორ ასახელებთ ჩვენს ორგანიზაციას! — უთხრა კომიტეტის მდივანმა.

— ვეცდები! — პასუხად ამ ერთი სიტყვის მეტი არ დასცდენია.

იმავე დღეს ქარხნის საიარაღო სამჭროში მხეხავი ნიკოლოზ უსაჩოვი სახეს დაზგასა და სამუშაოს ხასიათს აცნობდა ლერის.

— სამუშაო უბრალო არ გეგონოს. აქ ხდება ტვიფრების, პრესფორმებისა და სხვადასხვა სამარჯვი დეტალების ზუსტ ზომამდე დაყვანა. მუდამ გახსოვდეს, მთავარია სიზუსტე, თორემ არსად არ გამოდგება შენი ნახელარი.

ლერიმ სამ თვეში კარგად შეისწავლა საქმე. შემდეგ მესამე, თანრიგიც დაიმსახურა და თავისი მასწავლებლის დაზგა ჩაიბარა.

ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ. მაშინ მხოლოდ ერთი სახეხი დაზგა ჰქონდათ საამქროში. მალე ლერი ჯიბლაძემ თვითონ აიყვანა მოსწავლეები და მათგან თანრიგოსანი მხეხავები მოამზადა. განსაკუთრებული ადგილი ეკავა ელექტროფიცირებულ ჭანჭარებს. ეს ჭანჭარები ადამიანს ანაზოგავენ ფიზიკურ შრომას, ამარტივებენ, ადვილებენ, ზრდიან ნაყოფიერებას

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მარშალ რ. ი. მალინოვსკის პასუხი

„პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის რ. მაკნამარას გამოსვლის გამო

კითხვა. ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რ. მაკნამარა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შეიარაღებული ძალების საქმეთა სენატის კომისიაში გამოვიდა განცხადებით იმის შესახებ, რომ ამერიკის შეიარაღებულ ძალებს „საკმაოდ შეუძლიათ მოსპონ“ მათ მიერ დასახული „სამეგობრო ობიექტები“. იცნობთ თუ არა თქვენ, ამხანაგო მარშალო, ამ გამოსვლას და როგორ აფასებთ მას?

პასუხი. დიახ, მე ვიცნობ მ-ნ მაკნამარას გამოსვლას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის კომისიაში. პირველი, რაც ამ განცხადებაში გვაკვირვებს თვალში, — ბაჯი ტონია. ვფიქრობ, რომ „პრავდის“ მკითხველები, და საერთოდ ყველა საბჭოთა ადამიანი, დამეთანხმებიან, რომ ასეთი ბაჯონობა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ნბრივ, სულ ცოტა რომ ვთქვათ, უგუნურებაა. იგი ხომ მიზნად ისახავს არა ურთიერთობის გაუმჯობესებას საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, არა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, არამედ ვნებათა ღელვის, სამხედრო ისტერიის და, საბოლოო ანგარიშით, გამალებული შეიარაღების გაჩაღებას. გამალებული შეიარაღება კი ის გზაა, რომელსაც კაცობრიობა მუდამ მიმყავდა ომებამდე. ამას უცილობლად მოწმობს ორივე მსოფლიო ომის ისტორიის გაკვეთილები.

მაგრამ თუ იმპერიალისტებს სურთ მანიცდამაინც ამ გზით იარონ, დაე წინასწარ კარგად აწონონ რეალური ფაქტები და დაუფიქრდნენ, თუ რას უქადის მათ ასეთი გზა. აქ მინდა შესწორება შევიტანო მ-ნ მაკნამარას განცხადებაში. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ ერთხელ აღიარა, ჩვენი ძალები თანასწორი არიანო. ეს მეტად თუ ნაკლებად სწორი აღიარება იყო, და დროა ამერიკის სამხედრო მოღვაწეებმა ამ აღიარებიდან სათანადო დასკვნები გააკეთონ.

როგორც თავდაცვის მინისტრი მე კარგად ვიცნობ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებას და რამდენადმე ვერკვევი ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი ნატოელი მოკავშირეების შეიარაღებაში. ამას ჩემი მდგომარეობა მავალებს. მე მომაჩნია, რომ ამჟამად სოციალისტური ბანაკი ამ ქვეყნებზე ძლიერია. მაგრამ დავუშვათ თუნდაც, რომ ძალები თანასწორია. ჩვენ მზად ვართ დავეთანხმოთ ამასაც, რათა მონაწილეობა არ მივიღოთ ომის ფსიქოზის გაჩაღებაში. მაგრამ რამდენადაც ჩვენი ძალები თანასწორია, ამერიკელი მოღვაწეები სწორ დასკვნებს უნდა აკეთებდნენ და გონივრულ პოლიტიკას ეწეოდნენ.

მ-ნი მაკნამარა ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მოსპონ დასახული საბჭოთა ობიექტები. მე არ ვიცი, რა აქვს მას მხედველობაში, როცა დასახულ ობიექტებზე ლაპარაკობს. ჩემი მხრივ შემიძლია განვცადო, რომ ჩვენ ძალგვიძს ერთი რაკეტულ-ატომური დარტყმით პირისაგან მიწისა აღვგაოთ ყოველი ობიექტი, ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამრეწველო და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი და მოვსპოთ მოელი ქვეყნები, რომლებმაც თავიანთი ტერიტორია დათმეს ამერიკის სამხედრო ბაზებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გარშემოა განლაგებული. ვფიქრობ, რომ ეს საერთოდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს არც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებისათვის, არც ნატოს, სეატოს და სენტოს აგრესიულ ბლოკებში შემავალი სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებისათვის.

მთელი პასუხისმგებლობით როგორც საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი ეაცხადებ, — მე კი ვიცი, რასაც ვეუბნ-ნობი, როცა ამ განცხადებას ვაკეთებ, — ჩვენ უფრო ძლიერი ვართ ამჟამად და, რა თქმა უნდა, ერთ ადგილზე როდი ვიოგებით. ჩვენთვის საჭირო არ არის ჩვენი რაკეტული ჯარების და იარაღის მარაგის განსაკუთრებით გადიდება. შემდეგ უკვე იქნება იარაღის არა დაგროვების, არამედ ბუნებრივი განახლებისა და სრულყოფის პროცესი. ყოველი იარაღი, რა სრულყოფილიც უნდა იყოს იგი, ეკონომიკის განვითარებასთან, მეცნიერების, სამხედრო ტექნიკის განვითარებასთან ერთად ხომ შეიძლება უფრო მეტად იქნას სრულყოფილი. ამჟამად ჩვენ აღარ გვესაჭიროება იარაღის რაოდენობრივი გადიდება. ის, რაც გვაქვს, საკმარისია იმისათვის, რომ გავანადგუროთ ყოველი პოტენციური მოწინააღმდეგე, თუ იგი თავს დაგვესხმის ჩვენ ან დაესხმის ჩვენს მეგობარ სოციალისტურ ქვეყნებს. ჩვენთვის საჭირო იქნება მხოლოდ განვაახლოთ და სრულვყოთ არსებული იარაღი.

კითხვა. თქვენი აზრით, რისთვის დასჭირდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს გამოსულიყო ასეთი განცხადებით და დამუქრებოდა ატომური ომით საბჭოთა კავშირს?

პასუხი. უნდა ვთქვა, რომ უკანასკნელ ხანს არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი, არამედ სხვა ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეებიც, რომლებიც აღმურვილი არიან ძალაუფლებითა და პასუხისმგებლობით, თავს ნებას აძლევენ გამოდიოდნენ ამგვარი განცხადებებით, რომელთა მიზანია „ცივი ომის“ გაჩაღება და ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ისტერიის გაძლიერება.

ამერიკის ხალხს ახალი ომის აჩრდილით აშინებენ იმისათვის, რომ უფრო გამგონე და მორჩილი გახადონ იგი შეიარაღებაზე გასაწევი ხარჯების განუწყვეტელი გადიდების ფაქტის წინაშე. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის სამხედრო მუხლები წლითიწლობით იბერება, და ისე ჰგავს, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის თვითეულ მომდევნო პრეზიდენტს სურს აუცილებლად ჯობოს თავის წინამორბედს იმ სახსრების მოცულობის მხრივ, რომლებსაც გადასახადების სახით წაგლეჯენ ხოლმე ამერიკელ მშრომელებს შეიარაღებისათვის. გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კონგრესში გაატარა ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც კი ოდესმე ჰქონიათ სახელმწიფოებს მშვიდობიან დროს. ახლა კი კონგრესს წარედგინა 1962-1963 წლების ბიუჯეტის ახალი პროექტი, რომელიც კიდევ უფრო მეტ სამხედრო ხარჯებს მოითხოვს. ეს ხარჯები აღწევს პირდაპირ ასტრონომიულ ციფრს — 55,1 მილიარდ დოლარს, რაც ბიუჯეტის მთელ ასიგნებათა დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენს. ამ სამხედრო ხარჯების სიმძიმე მხრებზე აწვება ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელ ხალხს, რომელიც იძულებულია სულ უფრო დიდი გადასახადები გადაიხადოს, გამალებული შეიარაღებით მიღებულ მოგებას კი იჯიბავენ ამერიკის მონოპოლიები, რომლებიც იარაღს აწარმოებენ.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავრობის ბევრი წევრი მთავრობაში პოსტების მიღებამდე ომსასთვის მომუშავე მონოპოლისტური კორპორაციების აქციონერები ან წარმომადგენლები იყვნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს მ-ნ მაკნამარასაც ეხება. როცა ეს ადამიანები სამინისტროებში მიდიან და სახელმწიფო პოსტებს იკავებენ, ისინი გულმოდგინედ ახორციელებენ ამ კორპორაციების პოლიტიკას, მოქმედებენ იმ კორპორაციების ინტერესებისათვის რომლებშიც ისინი მსახურობდნენ და სადაც ისინი, როგორც წესი, ბრუნდებიან მას შემდეგ, რაც თავიანთ სახელმწიფო პოსტებს დატოვებენ.

მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი, თუ როგორ იჯიბავენ მონოპოლიები უდიდეს მოგებას, უსირცხვილოდ რომ ეწევიან სპეკულაციას ადამიანთა შიშზე. ეი უკვე წელიწადზე მეტია ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ნ-ნი როკფელერი აწარმოებს ატომსაწინააღმდეგო თავშესაფრების მშენებლობის კამპანიას და ამაზე იხარჯება უდიდესი თანხები, რომლებიც გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან ამ მომგებიან საქმეზე მომუშავე მონოპოლიების სეიფებში გადადის. მაგრამ რომელ საღად მოაზროვნე ადამიანს არ ეხმის, რომ ატომური და წყალბადის ბომბებისაგან თავშესაფრები მხოლოდ წინასწარ მომზადებული კუბოა, სამარეა და ვისთვის არ არის ცხადი, რომ ომის თანამედროვე საშუალებების დროს ვერავითარი თავშესაფარი ვერ გადაარჩენს ადამიანს ატომურის ბომბისაგან. შეუძლებელია რაღაც ბუნკერში, თუნდაც მერმეტიულად დახშულში, გადარჩე, თუ ფეთქდება ატომისა და წყალბადის ბომბები, რომელთა დამანგრეველი სიმძლავრე ათეულ, ასეულ და მეტ მილიონ ტონა ტრინიტროტოლუოლს აღწევს. გარდა ამისა, აფეთქების შედეგად რჩება რადიოაქტიური ნივთიერებებით მოწამლული ტერიტორია, ატმოსფერო, წყალი — ყველაფერი, რაც გარს არტყია ადამიანს.

ეს, რა თქმა უნდა, ამერიკელმა სამხედრო პირებმა და მეცნიერებმაც იციან. არ შეიძლება არ ესმოდეს ეს გუბერნატორ როკფელერსაც მაგრამ მონოპოლისტები აქაც ერთგულნი რჩებიან მოგების მიღების თავიანთი მგლური ინსტინქტებისა. ისინი აღვივებენ ომის ფსიქოზს და ამით ზრდიან სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობას, ამასთან დაახლოებით ასე მსჯელობენ: დიახ, რაკეტულ-ატომური ომის კოცონში დაიწვის ჩვენი ქონება და სიმდიდრე, ხოლო შესაძლოა დავიწვათ თვითონ ჩვენც. სამაგიეროდ მანამდე, სანამ ეს მოხდებოდეს ყველაფერს, მთელ მოგებას ამოვწურავთ მილიონობით ამერიკელთაგან. მზად ვართ მსხვერპლად შევწიროთ ისინი ომს. მონოპოლისტებს სურთ ომის წინ ამერიკელი ხალხისაგან მიიღონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, და ამ მიზნით თავშესაფარ-სამარეთა მშენებლობასაც იყენებენ. „თავშესაფრების“ მშენებლობისათვის ახალებენ ცემენტს, ლითონს, მოწყობილობას. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მოგებას იძლევა. მაგრამ ვინ იღებს მოგებას ომის ფსიქოზით? კვლავ იგივე მონოპოლიები.

კითხვა. თქვენი პასუხიდან გამომდინარეობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეთა ცდებში — დაიშიშვროს საბჭოთა კავშირს გათვალისწინებული არ არის მსოფლიოში ძალთა რეალური თანაფარდობა. თქვენი აზრით, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამ ფაქტიდან?

პასუხი. ცხადია, მე არ შემიძლია ვილაპარაკო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეთა მაგიერ, ხოლო რას აცხადებს შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი, ეს თქვენთვის ცნობილია.

სახელმწიფო მოღვაწეებისათვის, მათ შორის სამხედრო ხელმძღვანელებისთვისაც, უფრო მეტად, ვიდრე ვინმესთვის, საჭიროა რეალობის გრძნობა. თანამედროვე პირობებში ისეთ გადაწყვეტილებებს უნდა ვეძებდეთ, რომლებსაც მივუყვდეთ მშვიდობისაკენ და არა ომისაკენ. უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, თუ როგორ შევამციროთ დაძაბულობა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში და არ დავუშვათ, რომ ომის წარმოების დაგროვებული საშუალებები ამოქმედდეს. ეს ხომ გამოუსწორებელ უბედურებას მოუტანდა, ახლა უკვე შეიძლება ითქვას, არა ცალკეულ სახელმწიფოებს, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანა მუდამ ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ჩვენი პოლიტიკა განსაზღვრულია XXII კონგრესის გადაწყვეტილებებით, პარტიის ახალი პროგრამით. ჩვენ ზუსტად ვხელმძღვანელობთ ამ დოკუმენტებით. საბჭოთა კავშირი კვლავაც განახორციელებს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ეცდება მიაღწიოს საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებას, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციას და ხალხთა უშიშროების განმტკიცებას. მაგრამ თუ მოხდება თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მუდამ მზად არიან გამანადგურებელი დარტყმით უპასუხონ აგრესორს, და ჩვენ გავანადგურებთ იმათ, ვინც თავს დაგვესხმის ჩვენ ან ჩვენს მოკავშირეებს. ამის გაგებას, როგორც ჩანს, ყოველთვის როდი შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის განცხადებები.

ხელები შორს კუბისაგან!

ნახატი ირ. თოიძისა.

კუბა არ დათმოგს თავისუფლებას

ფიდელ კასტროს პრეს-კონფერენცია

ჰავანა, 24 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს პრეს-კონფერენცია, რომელიც ტრანსლირებული იყო რადიოთი და ტელევიზიით. ფიდელ კასტრო შეეხო კუბის პოზიციას ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო თათბირის მიმართ, რომელიც პუნტა-დელ-ესტეში მიმდინარეობს.

ამერიკის იმპერიალიზმი, — განაცხადა მან, — წინააღმდეგია ხალხთა თვითგამორკვევის, რევოლუციის უფლებისა, კუბა კი იცავს ამ უფლებას ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფოს ხალხთა ინტერესებისათვის, რაც შეეხება თვით მას, კუბა იცავს თავისი თვითგამორკვევის უფლებას არა პუნტა-დელ-ესტეში, არამედ თავის სამშობლოში. პუნტა-დელ-ესტეში კუბა აწარმოებს ბრძოლას მთელი ამერიკისათვის, იმიტომ რომ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ხალხები უიარაღონი და უმწეონი არიან ამერიკის აგრესიული იმპერიალიზმის წინაშე, რომელიც არასოდეს არ ეკითხებოდა მათ ნებას საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას და ერთი სახელმწიფოების საქმეებში სხვა სახელმწიფოთა ჩაურევლობის პრინციპს კუბასთან ერთად იცავენ მექსიკის, ჩილის, ბრაზილიის, ეკვადორისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მთავრობები. კასტრომ აღნიშნა, რომ ლათინური ამერიკის ხალხები სულ უფრო გაბედულად ირაზმებიან იმპერიალიზმის ლაქიების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც პუნტა-დელ-ესტეში შეერთებულ შტატებთან ერთად გამოდიან კუბის წინააღმდეგ. მაგრამ, განაგრძო მან, კუბის პოზიცია ნათელია: კუბა გაიღაშქრებს სიღატაკის, ექსპლუატაციისა და იმპერიალისტების დანაშაულობათა წინააღმდეგ.

კუბის რევოლუცია, განაგრძო კასტრომ, მაგალითია ლათინური ამერიკის ხალხებისათვის. იგი ესმის ლათინური ამერიკის ყველა ხალხს, და კუბელები დარწმუნებული არიან, რომ ლათინური ამერიკის ხალხების მიერ თავისუფლების მოპოვების დღე შორს აღარ არის. ეს დღე ახლოვდება. კუბის რევოლუციის დროშა მთელი ამერიკის, უკეთესი ცხოვრებისათვის მებრძოლი ყველა ხალხის დროშაა. ჩვენთან არიან, თქვა კასტრომ, მთელი მსოფლიოს ხალხები.

კუბის პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „კუბაზე ახალი თავდასხმა, რასაც იმპერიალისტები ამზადებენ, შეიძლება აღმოჩნდეს ნაპერწკალი, რომელიც აანაყებათა ხანძარს დაანთებს ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში“. პუნტა-დელ-ესტეში კუბა ამერიკის იმპერიალიზმს დასვამს საბრალდებო სკამზე. ასეთია მისი მისია, თქვა კასტრომ.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ კუბის ხალხის გენერალური ეროვნული ასამბლეა, რომელიც თავდაპირველად დასახული იყო 22 იანვრისათვის, მიზანშეწონილია მოიწყოს პუნტა-დელ-ესტეს თათბირის დამთავრების შემდეგ. იმ დროისათვის, თქვა მან, სამშობლოში დაბრუნდება კუბის დელეგაცია ამ თათბირზე, რომელსაც მეთაურობს კუბის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი. ამ ასამბლეის შედეგები მოეფინება მთელ მსოფლიოს. დედამიწის ყველა კუთხეში წაიკითხავენ ჩვენს სმართლისა და სამართლიანობის დეკლარაციას. მორალურად და იდეოლოგიურად ჩვენ მოვიგებთ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ მზად ვართ ბრძოლისათვის და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გავიმარჯვოთ. ჩვენ არა მარტო არ დავეთანხმებით სანქციებს კუბის წინააღმდეგ, ან კუბაში რევოლუციური წყობილების დაგრმობას, არამედ ხელსაც არ მოვაწერთ რეზოლუციებს, რომლებიც ამ სანქციებს ითვალისწინებენ. ასეთია ჩვენი პოზიცია.

ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

პარიზი, 25 იანვარი. (საკდესი). შეიდი ძლიერი აფეთქება გაისმა გუშინ ნაშუადღევს პარიზის სხვადასხვა რაიონში და მის ერთ-ერთ გარეუბანში. მკვლელებმა „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციიდან“ ასაფეთქებელი მასალა ჩაუწყეს სახლებში, რომლებშიც ცხოვრობენ საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეები და ჟურნალისტები. მათ შორის არიან ალენ სავარი, რომელიც გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრია, პარიზის გაერთიანი ბურჟუაზიულ გაზეთ „მონდის“ დირექტორი ბევ-მერი, ამავე გაზეთის მომომზადებელი, სამართლის პროფესორი მორის დიუვერჟე, ყოფილ „ექსპრესის“ დირექტორი ფრანსუაზა ჟირუ, „დამოუკიდებელი“ სენატორი ჟან-ლეი ვიეე.

წინასწარი ცნობებით, ამ აფეთქებებს არ მოჰყოლია ადამიანთა მსხვერპლი, მაგრამ დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვიეს. ახლა „ულტრები“, რომლებიც არ ხდებიან რამდენადმე სერიოზულ წინააღმდეგობის ხელისუფალთა მხრივ, ტერორისტულ აქტებს ღღის სინათლეზე სჩადიან...

ოფიციალური პრაპაგანდა ცდილობს როგორმე დაამშვიდოს შეშფოთებული საზოგადოებრობა, რომელიც მოითხოვს თავგასული ფაშისტების გადაჭრით ალაგმვას და ისწრაფვის შექმნას მოჩვენებითობა, რომ მათ წინააღმდეგ მიღებულია საჭირო ღონისძიებანი. ფრანს პრესის საგენტოს ცნობებით, პარიზსა და პროვინციაში უკანასკნელი ორი დღე-ღამის მანძილზე გაჩხრიკეს 461 კაცი, რომლებზეც ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ კავშირი აქვთ „შეიარაღებულ საიდუმლო ორგანიზაციასთან“. მაგრამ, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ამ ჩხრეკას უფრო მოჩვენებითი ხასიათი აქვს და მას არ მოსდევს ფაშისტ შეთქმულთა დაპატიმრება.

დე გოლი: საფრანგეთში სიმშვიდე და სიწყნარეა!

ნახატი რუმინელი მხატვრის ე. ტარუსი.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲔᲑᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲐᲜ



ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡᲐᲨᲘ

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. საკდესი სპეციალური კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება:

გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის დელეგატები განაგრძობენ ანგოლაში არსებული მდგომარეობის საკითხის განხილვას. დღეს პირველი გამოვიდა ლიბიის წარმომადგენელი ფიკინი, რომელიც მოუწოდებდა დააკვრონ პორტუგალიის მთავრობა და „ანგოლელი ნაციონალისტები“ გამონახონ „მშვიდობიანი გადაჭრა“, რაც ს

24 იანვარს თბილისში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამხედრო-მხატვრული ლიტერატურის კომისიის გამსვლელმა სესიამ.

სესიის მუშაობის დღეებში ქართველი და თათბირზე სტუმრად ჩამოსული მოსკოველი მწერლები შეხვდნენ ამიერკავკასიის სახელმწიფო ოლქის მეთაურებს, იყვნენ რუსთაველში, სტუმრად მეტალურგებთან, ესაუბრნენ მათ საბჭოთა მწერლობის გადაუდებელ ამოცანებსა და თავიანთ მოთავალ გეგმებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ დიდი სამამულო ომის მოუნაწილის შ. შაველაშვილის მოთხრობას.

მოთხრობა

ჩქარიდა დურგალი ბაგრატი. შალაშინის შარიშურით რანდავდა ფიცრებს. აივნის მოაჯირს ამთავრებდა. ბაგრატის ძმა გიგო კი ეზოს ღობავდა. მზის ჩასვლამდე აპირებდნენ ახალი სახლის სადურგლო საქმის მოთავებას.

ფიქვის ბუბუშელის სურნელებ ტრიალებდა ბიძაჩემის ეზოში.

— დურგლები დიდხანს იმიტომ ცოცხლობთ, რომ მუდამ ფიქვის სუნს სუნთქავთ, — ღიმილით უთხრა ბიძაჩემმა ბაგრატს...

—მართალია. ჩემს ოსტატს თავქვეშ ბუბუშელის ბალიში ედო და ისე ეძინა მუდამ. დიდხანაც იცოცხლა, 105 წლისა გარდაიცვალა. სასიამოვნოა ფიქვის სუნი.

ბიძაჩემი იმ დღეს კარგ გუნებაზე იყო. ძველი სახლის მარანში ქვევრს ახადა. გოზაურებით ღვინო ჩამოიტანა. ერთი შინ გაზრდილი თოხლი ჰყავდა, ისიც დაკლა. ძალუაჩემმა მაშომ თონეში პური გამოაცხო. სუფრა ახალი სახლის დიდ ოთახში გაშალა.

საღამოს ოსტატმა ბაგრატმა დაიძახა:

— შაბაშ! ღმერთმა მშვიდობით მოგახმაროს, გიგა. — აი, სახლი და ეზო უკვე მზად არის.

— აგაშენოთ ღმერთმა... მეც მზადა ვარ. აბა საჩალიანთ ქალო, — ომახიანად ასძახა მეუღლეს, — ვახშმის საქმე როგორ არის?

— კარგად... მობრძანდით!

დურგლებმა ეზოში მოჩუხჩუხე წყაროზე დაიბანეს ხელ-პირი და სახამ ძალუაჩემი პირსახოცს ჩამოუტანდა, სახე ჩოხის კალთებით შეიმშრალეს...

მალე საგულდაგულო პურისჭამა გაიმართა.

— სიხარული და ბედნიერი დროს ტარება ნუ მოგიშალოთ ამ ბერქვეშ, — ლოცავდნენ ოჯახის უფროსს.

სუფრაზე ახლო მეზობლებიც იყვნენ. ყველა ხარობდა. ყველა მღეროდა.

— აბა, დისწულო, არ მოიწყინო — მითხრა ბიძაჩემმა და სიყვარულით მხარზე მკლავი გადამხვია. მახსოვს, პატარობიდანვე „დისწულს“ მეძახდა, იშვიათად თუ დამიძახებდა კოლას.

ღამე კარგად იყო გატეხილი, ცხენების თქარათქური რომ მოგვესმა და ისევ მალე მიჩუმდა... ვიღაცამ დააკაკუნა აივანზე. ბიძაჩემი, მართალია, ნასვამი იყო, მაგრამ მაშინვე სუფრიდან წამოდგა და აივანზე გავიდა. მეც კვალდაკვალ გავყევი.

— ვინა ხარ, კაცო? — გასძახა ეზოში თავისებურად. ბნელი ღამე იყო და არა ჩანდა-რა.

— სტუმარი ვარ!

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით. ხმაზე გიცანი, ლადო. მარტო არ იქნები, თორემ რა ნებართვა გინდოდა.

— საქმეც ეგ არის, რომ მარტო კი არა, ცხრანი ვართ...

— ცხრანი კი არა, ცხრამეტნი რომ იყოთ, სტუმარს კარს ურღულით არ გადავუკეტავ. რას მალაპარაკებ, თითქოს არ მიცნობდე.

ამ დროს ცხენმა დაიჭიხვინა და ტორი დაკრა მიწას. სიბნელეში ნაპერწკლმა გაიელვა. ძალუაჩემიც გამოვიდა ფარნით. ეზოს მიავლ-მოავლო შუქი. გაოფლიანებულ ცხენებს ოხშივარი ასდიოდათ. ბიძაჩემი ეზოში ჩაეგება. მხედრები ჩამოვიდნენ ცხენებიდან და ახლად შემოკავებული ეზოს ბოძებზე აღვირებით მიაბეს. ფარნის შუქზე დავინახე, რომ ბიძაჩემის ნაცნობის ლადო ცხენი ბურბუშელას მისწვდა მიწაზე. ეს იყო ერთ წამში. ეზოში ყველაფერი ისევ სიბნელეში შთაინთქა. მაგრამ მაგიდას მიადგეს. უფრას ახალი სტუმრები შემოუსხდნენ... ნამგზავრებმა ცოტა შეისვენეს და ჯადიანად დაიწყეს ჭამა. ეტყობოდათ ეშოვნოდათ. ბიძაჩემმა ჭიქები მიაწოდა. ზამბარში უნდა გამოგიყვანოთო, ახალი სახლის ჭერი უნდა დამილოცოთო.

სტუმრებმაც დაულოცეს, — სიხარული, ჯანმრთელობა და დოვლათი დაგებედოთო.

კარგად ივახშმეს...

— დაგვიანებით გიგლიათ, — უთხრა ბიძაჩემმა სტუმრებს.

— ორწყლებში შემოგვაღამდა, დარჩენა აღარ გვინდოდა. გვეჩქარება, მეორე დღეა შეუსვენებლივ მოვაქროლებთ ცხენებს... ხვალ თრიალეთში უნდა ავიდეთ. ცხვარი გადმოგვყავს საზაფხულო იალაღებიდან. რგვალქალაშიც, იგოეთშიც ბევრი გვეხვეწნენ დარჩითო, მაგრამ მოცდა აღარ შეგვეძლო. მტკვარ-გალმა დილით ადრე გავალთ, შევუყვებით ჩაჩუბეთს, თემძის ხეობის სათავისაკენ მოკლედ მოვკვრით გზას და ზირთაზე ავალთ.

—ცხვარი როგორ გყავთ, მწყემსები როგორ არიან? — შეეკითხა მასპინძელი სტუმარს.

— წლევანდელ წელს ვერ დავემდურებით, — უპასუხა ლადომ, — მაგრად იმუშავეს ჩვენმა ბიჭებმა. ესენიც, — ხელით მიუთითა ამხანაგებზე, — დამმარე მწყემსებად მიმყავს. თებერვალ ფარების გამორეკვა უნდა დავაჩქაროთ, თორემ აცივდა, „ძალლის წყაროზე“ თოვლიც კი მოვიდა...

— ზამთარი ეგეთი სჯობია, ჩემო ლადო. ყველაფერი მარჯვედ მიგყავთ. ახლა ლუხურის ხეობაში თქვენზე ღონიერი კოლმეურნეობა არ არის.

— პირშავნი არა ვართ, აქებენ ჩვენს ბიჭებს...

ბიძაჩემმა მწყემსის საღღეგრძელო დალია. მწყემსმა ოდითგანვე უწმინდეს ხელობად არის მიჩნეულიო. ახლა ხომ ფარა აღარ არის. იგი მთელ სოფელს, მთელ ხალხს ეკუთვნისო.

გვიან ავიშალენით სუფრიდან...

ძალუაჩემმა მწყემსებს ღოგინი აიგანზე გაუშალა. მეც იქვე, პატარა ტატზე მივწექი. უმთვარო ღამე იყო. არ მეძინებოდა. როცა გვიან დავწვები, როდის-როდის ჩამთვლემს ხოლმე. ტკბილად ხვრინავდნენ დაღლილი მწყემსები... სიჩუმე გამეფდა ეზოში. ხანდახან ცხენების ფრუტუნი და ხრამა-ხრუმი მესმოდა.

ღილით ყვრილზე გამომეღვიძა. მაშინვე ტანთ ჩავიცვი და აივნიდან ეზოში გადავიხედე. აღარც მწყემსები იყვნენ და აღარც ცხენები. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის სურათი. ეზოს ახალი მესრის ნიღლი ფიცრები ცხენებს სულ მთლად დაეღრღნათ, შეეჭამათ...

— ჩვენი ბრალია, ჩვენი... — მომესმა ბიძაჩემის დინჯი ლაპარაკი. კაკლის ქვეშ მეზობლებიც შეკრებილიყვნენ.

— ასეთი შემთხვევის მომსწრე არა ვარ, — გაკვირვებით ჩაილაპარაკა ერთმა მოხუცმა.

— ცხენი კი არა, ადამიანი შეჭამს, რომ მოშივა, — თქვა მეორემ.

— ნუ დაღონდები, ჩემო გიგა, ფიცარი გაქვს, ჩვენც აქა ვართ... ღღესვე წამოვაყენებთ ისევ.

—ნუ დაღონდებიო! რაზე უნდა დავღონდე. ფიცარზე? შენც არ მომიკვდე, მაგაზე არა ვდარდობ. სადარდელი კი ჰაი-ჰაი რომ მაქვს. განა შეატიება — ჩვენ ვვახშმობდით და ცხენებზე კი არა ვფიქრობდით. მე მევალებოდა, მე. მასპინძელი ვალდებულია სტუმარზეც იფიქროს და სტუმრის საქონელზეც.

ამ შემთხვევამ ჩამაფიქრა.. აივნის მოაჯირზე ვიყავი გადმოყუდებული და უკვე ბუნდად მესმოდა საუბარი... ვფიქრობდი...

— სამოცი წლის კაცი გავხდი და ამისთანა რამის მნახველი არა ვარ, — ჩაილაპარაკა ისევ იმ მოხუცმა...

თითქოს ამ სიტყვამ გამომიყვანა ფიქრიდან. კიბე ჩავირბინე და კაკლის ქვეშ



მივედი. ბევრი მათგანი მიცნობდა. ჩემი ატარაობა ამ სოფელში მქონდა გატარებული.

— ჩემმა მზემ, ასეთი რამე არ მინახავს, გაგონებითაც კი არ გამიგონია, — გაოცებით და თავის აქეთ-იქით გადაქნევით გამეღიმა ისევ იმ მოხუცმა. მომაგონდა მისი სახელი. ფიდო ერქვა. მაღალ-მაღალი, ალალი კაცი იყო...

— ძია ფიდო, ასეთი შემთხვევა კი არა, ამაზე უარესიც მინახავს...

ჩემს ამ სიტყვაზე ყველა გაჩუმდა. ყველამ მე შემომხედა. იცოდნენ, რომ ომში ვიყავი ნამყოფი...

— უარესიც, დიახ, ამაზე უარესიც...

— აბა, დისწულო, აბა, ჩვენო კოლა! მოყევი, თუ გიყვარდე, — მითხრა ბიძაჩემმა. თითქოს აქით უნდოდა გულიდან ჯავრის გადაყრა. ეთაკილებოდა, ქვეყანაზე რას იტყვიან, რომ გიგონ, მასპინძელმა დაიგიწყა თავისი მოვალეობაო...

...ეს იყო 1942 წლის გვიან შემოდგომაზე, ნოემბრის დამდეგს... ჩვენი ნაწილი კავკასიონის კალთებზე დაბანაკდა. სუსხიანი ქარი ქროდა... თბილად გვეცვა, მაგრამ სიცივე ძვალსა და რბილში გვატანდა. ვისაც ომის რისხვა არ განუცდია, მისთვის ძნელია წარმოიდგინოს ჩვენი ბანაკი. მთელ ფერდობზე იყო გაშლილი ნაწილი. ისმოდა საკუთრივით დატვირთული ცხენების ჭიხვინი. ჯარისკაცები სურათის მარაგს იღებდნენ. იტვირთებოდა და იცლებოდა საბარგულები. თვივის უკანასკნელ შეკრულებს უნაწილებდნენ ცხენებს. დამშეული პირუტყვი ხარბად ახრამუნებდა უხეშ თივას. ძალიან ცოტა იყო საკვები. ცხენები თითქოს გრძნობდნენ ამას და სულმოუთქმელად სჭამდნენ.... მეც მყავდა ცხენი და ადამიანივით მიყვარდა. ტანჯვიანი ღონიერი იყო... წინა ღღით მუხრანელმა მასწავლებელმა დავით ჩეკურაშვილმა დამიჭედა ჩემი „წყვდიადა“. მან ჯარში ისწავლა ნალბანდობა.

ომის დამთავრების შემდეგ არ გამამხილოთ, რომ ცხენებს ვჭედავდიო, მეტყოდა ხოლმე დავითი. დაჭედავი ცხენი მთებში ნაბიჯს ვერ წასდგამს წინ, ყინულის სარკეზე მარხილივით დაცურდება და ჰაიდა — უფსკრულში!

ჩემი „წყვდიადა“ კი ისე იყო დაჭედილი, რომ ყინულსაც დაატყობდა ნაკვალევს. ჩეკურაშვილსაც მოსწონდა „წყვდიადა“. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით სჭედავდა. ჩლიქებს ისე ათლიდა, რომ „წყვდიადა“ ვერც კი გრძნობდა. ლურსმანსაც უმტკივნეულოდ დაჰკრავდა ხოლმე. რაკი ძალიან შავი იყო, — ხევსურმა ბეწუკა არაბულმა „წყვდიადა“ შეარქვა. მუხლმაგარი ცხენი იყო. ალმართს ისე აივლიდა, რომ ერთს არ ამოიქშენდა. ხმირად კუდზეც კი ვეჭიდებოდი, როცა დავიღლებოდი, მშველოდა, ერთიმეორისა კარგად გვესმოდა. მეც ვეფერებოდი, ვაქებედი, ვამშვიდი. კარგად დაღამდა... ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები აციაგდნენ. „წყვდიადას“ ტანზე ძველი მახარა დავაფინე, რომ არ შესცივნოდა. იმ ღამეს ზეზეურად წავთვლიმეთ. ვგრძნობდი, რაღაც ახალი მზადდებოდა. ყოველი შეტევის წინ ბანაკში დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე. ახლაც ისე დადუმდა ჩვენი ბანაკი. ხანდახან ქარიშხალს თოფის შორეული სროლის ხმა მოჰქონდა ჩვენამდე.

განთიადისას ჩვენმა ლეიტენანტმა გამოგვიცხადა, უღელტეხილზე დადასტურებულ ვიწყებთო. ეს ცხობა დაძაბულად გაისმა ჯარისკაცთა შორის. ბევრი ვერ წარმოიდგენს, თუ რას ნიშნავს „გადასვლა“ ზღვის დონიდან 3.379 მეტრის სიმაღლის უღელტეხილზე. რომლის დახრილობა 75 გრადუსს უდრის. უღელტეხილის მოსიპულ ყინულზე ერთი მეტრის სისქეზე ახალი თოვლი იდო. ეს უბრალო ტურისტული გადასვლა კი არ იყო, როცა მსუბუქად ხარ დატვირთული, როცა არსადან საფრთხე არ გელს, როცა აშკარად უშიშრად მიაბიჯებ, როცა იცინი და მღერი... ეს იყო მთელი შეიარეთის საბრძოლო ლაშქრობა. ლაშქრობა, რომლის დროსაც მტერი ტყვიას, ყუმბარას გიშენს და ყოველ ნაბიჯზე სიკვდილია ჩასაფრებული.

ალმართს შევუდექით... ასეთი გადასვლა უკიდურესი ღონისძიება იყო მიზნის მისაღწევად. მტერმა ცეცხლს ფარდა გაშალა... იგი ცდილობდა ჩაეშალა ჩვენი გეგმა. მთელი ძალით ამოქმედდა ჩვენი არტილერიაც. ნამსაკუთრენების დაფიონმა დასერა უღელტეხილი. ილეშებოდა კლდე, იმსხვრეოდა ყინული... იფანტებოდა თოვლი.. სიკვდილს თესავდა ყოველი ტყვია და ყოველი ყუმბარა.

ყურთასმენა აღარ იყო... საღამოს ჩამობნელდა...

ჩვენი ნაწილი კვლავ შეუმჩნევლად მოიხსნა თავდაცვის ზღუდიდან და უღელტეხილის გზა განაგრძო. გვიან ღამით ჩვენს კვალს გამოჰყვა თავდაცვის ზღუდეზე დატოვებული ათასეული. მხოლოდ საბრძოლო დაცვა დარჩა ადგილზე.

მართალია, ყოველივე ეს შეუმჩნევლად მოხდა, მაგრამ მტერი მაინც უშენდა გზას. დიდხანს მოგვიხდა ბრძოლა მთის კალთაზე. შემოგვაკლდა სურსათი. ცხენები შიმშილით საცოდავად ჭიხვინებდნენ. ღამე ჩამოწვა..

ალმართზე სიარული დავიღალე. მინდოდა „წყვდიადას“ კუდზე ხელი წამეკვლო, მაგრამ ვერ მოვახერხე. სიბნელეში თითქოს ვეღარ მივაგენი. გვერდით გავყევი, იქნებ ფაფარს მაინც წავწვდე მეთქი. ძაგრამ ამაოდ! შუალამე გადასული იყო, როცა მტრის შუშხუნამ გადაგვიქროლა. ღეღესავით განათდა ერთ წუთს... არ გასულა ხუთი წუთი, და ახალმა შუშხუნამ გაგვანათა. წუთით კვლავ სინათლე აკაშკაშდა... ამის შემდეგ აღარ მახსოვს რამდენმა ხანმა გაიარა. მაგრამ ის კი ვიგრძენი, რომ საღღაც სულ ახლოს ყუმბარა დაეცა. კარგად გავიარეთ ადამიანის კვნესა და ცხენების შემზარავი ჭიხვინი... ყუმბარა სულ ახლო და ხმირად ეცემოდა. ფილის რიერაკამდე არ შეწყვეტილა არტილერიის ფეილი.

მეთაურის ბრძანება კი მუდამ მოკლე და მტაცეი იყო:

— წინ!

ჩვენც თავდაუზოგავად ავდიოდით ალმართზე.

ბეუკოვარი ბრძოლით თავდაცვის ახალი ზღუდე ავიღეთ. იმ ფილით მზეს უხვად გადმოგვაფრქვია თავისი ცხოველმყოფელი სხივები. მთელი ღამით ნაომარნი აღარც კი ვგრძნობდით სუსხს. ცადატყორცნილი მწვერვალები ულამაზეაი ფერებით შეიღება... საომარ ადგილებში ყველაფერი ნათლად ჩანდა. ის სურათი აოასოდეს არ დამავიწყდება... მეორეს' ჭრილობებს უხვევდნენ.

უღელტეხილის გაუკვალავ თოვლში დამშეული და დასახიჩრებული ცხენები შეეხარბოდან ჭიხვინებდნენ. ცხენებს ერთიმეორისათვის ძუა და ფაფარი მოეჭამათ. აღარც ერთ ცხენს აღარ ჰქონდა ძუა.

ჩემი „წყვდიადა“ ყინულიან ჭიუხზე შემდგარიყო და თავაღერილი ქანდაკებასავით მოჩანდა. მისთვის ერთი ფეხი ყუმბარას მოეგლიჯა. აღარც ფაფარი ჰქონდა. აღარც ძუა.

„წყვდიადა“ სამი ათას სამას სამოცდა ცხრამეტი მეტრის სიმაღლიდან თვალანთებული გადაყურებდა ქვეყნიერებას. შველას, დახმარებას სთხოვდა ხალხს, — ადამიანებს კი მისი შველა არ შეეძლოთ.

გული მეტკინა. არ ვიცი, სხვებმა შემაჩნიეს თუ არა, თვალებში ცრემლი მომერია. მგონი დავიკვნესე კიდეც.

— ხომ არ დაიქერი, კოლა? — მკითხა აბაშელმა მეგობარმა მირიან თოფურიამ და მომიახლოვდა..

— არა, — ვუპასუხე მოკლედ და კვლავ „წყვდიადას“ გავხედე. ყველა მას მისჩერებოდა... ეს იყო პირუტყვის დიდი ტანჯვის სურათი... ცხენი მწვერვალიდან გაჰყურებდა ქვეყანას და თითქოს ეკითხებოდა, რა დავაშავე, რისთვის ვიტანჯებიო.

— ამ ყინულეთში უფეხო ცხენის ცოცხლად დატოვება ცოდვაა, — ოხვრით დაიძახა ხევსურმა მეომარმა ბეწუკა არაბულმა.

ყველა ჩვენგანი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს.

— მოემზადეთ ბათქისათვის! — იყო მეთაურის ბრძანება. ყველამ თვალები დავხუჭეთ და ისე ვესროლეთ იმ ფეხმოგლეჯილ და უძეო ცხენს. ეს იყო „წყვდიადას“ ტანჯვის ერთადერთი აუცილებელი დასასრული.

შალვა შაველაშვილი.

ქარგუქი სახალინზე

იუჟნო-სახალინსკი, 23 იანვარი. (საკ. დეს). ორი დღე-ღამე მძვინვარებდა სახალინზე არაჩვეულებრივი ძალის ქარბუქი. უძლიერესმა ქარმა ქალაქსა და დაბებს თავს დაატეხა თოვლის ზვავები. ქუჩებსა და გზებზე ორი-სამი მეტრი სიმაღლის ნამქერებია. — ამ მოკლე კადაში იმდენი ნალექი იყო, რამდენიც ჩვეულებრივ მთელ იანვარში იცის.

იუჟნო-სახალინსკში ბევრი ერთსართულიანი სახლი სახურავებამდე ჩაიფლო თოვლში, ხოლო ზოგიერთი შენობიდან ქუჩაში გასვლა შეიძლებოდა მხოლოდ მეორე სართულის აივნით.

ციკლონი მოვიდა წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილიდან და მოიცვა ხუთი ათასი კილომეტრი დიამეტრის ფართობი.

როცა თოვლის ქარიშხალი დაცხრა, ყველა მშრომელი გამოვიდა ქარბუქის შედეგების აღმოსაფხვრელად. და თუმცა დღეს იუჟნო-სახალინსკი ჯერ კიდევ წაგავს თოვლის ტრანშეებით გადათხრილ ალყაშემორტყმულ ქალაქს, მის ქუჩებში განახლდა ავტომანქანების მოძრაობა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტის ლ. მითაიშვილის ცეკვის მაღალი ოსტატობით არაერთხელ მოხიბლულა თბილისელი მაყურებელი.

ახალგაზრდა ხელოვანი ლ. მითაიშვილი საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატია.

სურათზე: ლ. მითაიშვილი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ჰ. თ. ენუქიძე

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი პარმენ თემურაზის-ძე ენუქიძე. იგი დაიბადა 1888 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ წკადისში. რევოლუციურად განწყობილი ღარიბი გლეხის ოჯახში. თავისი შრომითი საქმიანობა დაიწყო ხელოსნობიდან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან იგი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. 1925 წლიდან მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის რკინიგზაზე. იგი გამოირჩეოდა თავდადებული და ენერგიული საქმიანობით, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ გაიგზავნა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, რომელიც 1934 წელს დაამთავრა და შრომითი საქმიანობა კვლავ საბჭოთა დაწესებულებებში პასუხსაგებ თანამდებობებზე გაგრძელა.

1950 წლიდან პერსონალური პენსიონერი იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავთან დაკავშირებით, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

პ. ენუქიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

მეედეოს საციგურაოზე

მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ჩქაროსნულ ციგურაობაში მოზარდთა შორის.

ამ ასპარეზობაში კონკურსგარეშე გამოვიდნენ უფროსი ოთობის წარმომადგენლებიც. შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია ცხობილი საბჭოთა მოციგურავე ეგგენი გრიშინი, რომელმაც ბრწყინვალე შედეგი — 39,8 წამი აჩვენა 500 მეტრზე რბოლაში.

საუკეთესო შედეგები აჩვენეს: 500 მეტრზე ჩქაროსნულ ციგურაობაში — ვ. კაპლანმა, 5.000 მეტრზე — ს. მერზლოვმა, 1.500 მეტრზე — ბ. კოლჩინმა, 10.000 მეტრზე — ს. მერზლოვმა.

ოთხ დისტანციაზე შეგროვილი ქულებით საერთო პირველი ადგილი და ჩემპიონობა მოიპოვა 18 წლის მოსკოველმა მოციგურავემ ვ. კაპლანმა.

ერევანი, 25 იანვარი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დამთავრდა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ნახევარი. გათამაშების ცხრილში სიცხადის შესატანად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადადებული პარტიების დამთავრებას, რომელიც დღეს შედგა.

როგორც ვიუწყებოდით, ჩემპიონატის ლიდერს ზატულოვსკაიას ორი გადადებული პარტია ჰქონდა. აქედან ერთი უარეს, ხოლო მეორე საყაიმო მდგომარეობაში. კუშნირთან პარტიაში ზატულოვსკაიამ ვერ შეძლო მეტოქის მარნუხებისაგან თავის დაღწევა და პირველი დამარცხება განიცადა. სამაგიეროდ მეორე პარტიაში ზატულოვსკაია წარმატებით იბრძოდა სემიონოვას წინააღმდეგ და საყაიმო მდგომარეობის მიუხედავად შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

ლიდერს 7,5 ქულა აქვს

ტალინელ მოჭადრაკეს — რანიკუს ორი გადადებული პარტია ჰქონდა და ორივე მოიგო იაკირთან და შადურასთან. კაკაბაძემ ბრძოლის განუახლებლად დამთმო პარტია სსრ კავშირის ჩემპიონთან — ბორისენკოსთან. ტიხომიროვამ მოუგო ვოლპერტს.

რამდენიმე პარტია კვლავ გადაიდო.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ პირველობის გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა ბაქოელი მოჭადრაკე ზატულოვსკაია, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. მოსკოველ მოჭადრაკეს კუშნირს 7 ქულით მეორე ადგილი უკავია. ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულით მესამე და მეოთხე ადგილებს იყოფენ ტოგონიძე და ბორისენკო. მეხუთე ადგილზეა ვოიცეკი (5,5 ქულა ცხრიდან).

26 იანვარს ჩემპიონატის მონაწილეთა უმრავლესობა ისვენებს, ზოგიერთები კი გაითამაშებენ გამოტოვებულ პარტიებს.

ჩვენი ნაკრები

დამტაიცდა სსრ კავშირის ჩქაროსნულ მოციგურავე ვაკთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო პირველობის გათამაშებაში. მის შემადგენლობაში შეიდნენ — ბ. სტენინი, ე. მატუსევიჩი, რ. მერკულოვი, ვ. კოტოვი, ე. გრიშინი, ვ. გუროვი.

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დაიწყება საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში „ა“ კლასის ქალთა და ვაკთა 24 გუნდს შორის.

ჩვენი რესპუბლიკიდან უძლიერესთა ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ვაკთა გუნდები, ავრეთვე თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲕᲚᲘᲡᲗᲐᲕᲖᲔ

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ამას წინათ გამოსცა ეთერზეთოვან კულტურათა ხოხუმის საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკთა შრომების ახალი კრებული.

წიგნში შესულია 20 სამეცნიერო შრომა. იგი გამოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე.

ცხინვალი. (საკ. კორ.). ცხინვალში ხეთადგურეოს ქუჩაზე გაიხსნა საოლქო საჭადრაკო კლუბი. იგი მოთავსებულია ახალ შენობაში და მოწყობილია საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. საჭადრაკო კლუბს სპორტის ბევრი მოყვარული გაუჩნდა. ახალგაზრდობა აქ აწყობს შეჯიბრებებს ჭადრაკსა და შაშში.

ლენინგორი. (საკ. კორ.). იოთელ მონადირეს ილია გიგაურს არა ერთი და ორი მტაცებელი მხეცი მოუკლავს. ამას წინათ მან ვეებერთელა დათვი განგმირა აშხადურის ხევში, ხოლო ორი დღის შემდეგ ილიამ კიდევ ერთი მოკლული დათვი ჩამოიტანა სოფელში.

ბარაქიანად დაიწყო მიმდინარე წელი აგრეთვე ზაყორელ მონადირე გ. სოტიევისათვის. იანვრის პირველ რიცხვებში მან მოკლა ორი დათვი და ამდენივე მგელი.

მთის სოფლებში დიდი თოვლი მოვიდა. მონადირეები მასობრივად გავიდნენ ტყეებში დათვებსა, მგლებსა და მელიებზე სანადიროდ.

სამოროდოვი „ულევის“ გმირია

სტოკჰოლმი, 24 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა მოტომრბოლი უფელი ბორის სამოროდოვი გამარჯვებული გამოვიდა საერთაშორისო შეჯიბრებებში ყინულზე რბოლაში, რომლებიც „ულევის“ სტადიონზე მიმდინარეობდა გეტებორგში.

ევროპაში პირველად ასეთი შეჯიბრებანი მოეწყო ხელოვნური ყინულით დაფარულ ბილიკზე, რბოლა მიმდინარეობდა საღამოს ძლიერი წვიმის ქვეშ. სამოროდოვმა გაიმარჯვა ყველა შემოვლაში და მოაგროვა ყველაზე მეტი ქულა — 12. მეორე იყო შვედი ზანდერმანი. ორმა სხვა საბჭოთა სპორტსმენმა სერგი სტარიხმა და ფარიდ შაინუროვმა შესაბამისად მეექვსე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს.

„გადმოგცემთ ამინდის ცნობას“

ეს ფრაზა რადიოთი დღეღამეში რამდენჯერმე გვესმის. გადმოგვცემენ ცნობებს ამინდის შესახებ მოსახლეობისათვის, სპეციალურად სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის, იმათთვის, ვინც ჰაერში, ზღვაზე, ოკეანეებში იმყოფება. ბევრს სჭირდება ამინდი და ბევრნი „აკეთებენ“ მას — მეცნიერები და პრაქტიკული მუშაკები. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, არქტიკასა და ანტარქტიდაში ამინდს აკვირდება 20 ათასამდე მეტეოსადგური. მათი ცნობები მეტეოცენტრებს ყოველგვარ რიგს გარეშე გადაეცემა.

მუშაკთა დიდი არმია „აკეთებს“ ამინდს საქართველოშიც. მის ტერიტორიაზე, რომელიც ზოგან ძნელი მისაწვდომია ზაფხულშიც კი, გაფანტულია მეტეოროლოგიური დაკვირვების 130-მდე პუნქტი სადგურების მოცულობით და 200-ზე მეტი ჰიდრომეტეოროლოგიური საგუშაგო.

მაგრამ ამინდის მოკლე ცნობის მიღმა ჩვენ ვერ ვხედავთ მეტეოროლოგების კოლოსალურ შრომას და მით უმეტეს იმ კოლოსალურ ხარჯებს, რაც ამ საქმეს ხმარდება. საკმარისია ითქვას, რომ ორი ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე მყოფი მეტეოსადგურების მუშაკები იღებენ გარკვეულ ხელფასს, 40 პროცენტ დამატებას სიმაღლისათვის, უფასო აღჭურვილობას, ტანსაცმელს და სურსათის ულუფას. ზოგიერთი სადგურის შტატში მზარეულიც კი არის გათვალისწინებული.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელია მუშაობა ზამთარში მყინვარწვერთან, სადაც ზაფხულშიც კი ხმირად რიდი თბილა. ომალოს სამთო საძოვრების რაიონს კარგ ამინდშიც კი, როგორც წესი, თვითმფრინავებით ან ვერტმფრინავებით აღწევენ.

სწორედ ამიტომ ჩვენი მეცნიერები და სპეციალისტები დიდი ხანია მუშაობენ იმაზე, რომ შეცვალონ ადამიანი, უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებით მძიმე პირობებში, ისეთი აპარატურით, რომელიც თვითონ ჩაწერს საჭირო მონაცემებს ამინდის შესახებ, ხოლო ჩაწერის შემდეგ მეტეოცენტრს გადასცემს.

ახლა ასეთი აპარატურა გვაქვს. ეს არის არს, რაც ნიშნავს ავტომატურ რადიომეტეოროლოგიურ სადგურს, რომელმაც ოქროს მედალი მიიღო ბრიუსელში 1958 წლის მსოფლიო გამოფენაზე. ამ სადგურებს მოსკოვის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხანა უშვებს.

პირველი არს-ები საქართველოშიც გამოჩნდა. ალბათ ყველა, ვისაც ამ დღეებში ჩელიუსკინელების სახელობის ხიდზე გაუვლია, ადვილად შეამჩნევდა მბრუნავ პროპელერ-ქარძრავს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს მოედანზე, რომელიც ხიდის ახლოს მდებარეობს. სწორედ ამ ქარძრავით მუშაობს ავტომატური რადიომეტეოროლოგიური სადგურიც, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქარის ელექტროგენერატორით. ავტომატური სადგური ზომავს და ძნელად მისადგომი და დაუსახლებელი რაიონებიდან გადასცემს მონაცემებს სადგურის მუშაობის მომენტში ჰაერის წნევისა და ტემპერატურის. ქარის მიმართულებისა და საშუალო სიჩქარის, თხევადი ნალექების რაოდენობის, მზის ბრწყინვის შესახებ.

არს-ი ავტომატურად გადასცემს რადიოთი აღნიშნულ ცნობებს წინასწარ დადგენილ ვადებში — დღეღამეში ოთხჯერ ან რვაჯერ.

სადგური 650-მდე კილოგრამს იწონის. მისი უზედამხედველოდ მუშაობა გაანგარიშებულია სულ მცირე ერი წლით. მისი რადიოკავშირგაბმულობის სიმორე 200-დან 600 კილომეტრამდეა.

გაზაფხულზე და ზაფხულში პირველი ასეთი სადგურები ატანილი იქნება და დაიდგმება ჩვენი რესპუბლიკის ძნელად მისადგომ და დაუსახლებელ ადგილებში.

პ. პეტრუხინი.

* * *



**სურათ